საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკების).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

პარასკევი, 29 ოქტომბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვეში ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

№ 80 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 80

## რეფორმები თუ რევოლიუცია?

მენშევიკების თათბირის რეზოლიუცია გამოაქვეყნეს გაზეთებმა იმ თავითვე მოსალოდნელი იყო, მათი პარტიულ ლიდერთა და სახელმწიფოს ხელმძღვანელთა მოხსენებების მიხედვით, რომ ბოლოს და ბოლოს მთა პატარა თაგუნას შობდა. რეზოლიუცია, მრავალ-მუხლოვანი და მრავალ ფარდოვანი, მკითხვის შელოცვას უფრო წააგავს. ის საუკეთესო საგანია ორი მეთოდის ერთმანეთთან შესადარებლად: ბურჟუაზიულ-რეფორმისტულის და პროლეტარულ-რევოლიუციონურის. ხსნა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რეფორმებშია, თუ პროლეტარულ რევოლიუციაში? გახრწნის გზაზე შემდგარ კაპიტალიზმის შეკეთებაში, თუ კაპიტალიზმის შემმუსვრაში და ასე ყველა სასიცოცხლო, განვითარების ძალების განთავისუფლებაში. ჩვენი დემოკრატები, რაღა თქმა უნდა, კაპიტალიზმს ებღაუჭებიან, მისი შელამაზება უნდათ რეფორმებით და საუბედუროთ, რეფორმები იქ და იმ ხანაში იყო ნაყოფის გამომღები, სადაც განვითარებული კაპიტალიზმი არსებობდა, და როცა კაპიტალიზმი გაფურჩქვნილი, წინ-მავალი იყო. ჩვენში კი, სადაც კაპიტალიზმი სანახევროთ თუ არის გამეფებული, და ახლა, როცა მსოფლიო კაპიტალიზმი რღვევის და გახრწნის პროცესით არის მოდებული, მის შელამაზებაზე ფიქრი რეფორმებით წყლის ნაყვაა და ქარის წისქვილებთან ბრძოლაა. და ამ მხრივ მენშევიკების რეზოლიუცია სავსებით უნაყოფოა, როგორც ღვთისადმი შეწირული მონაზონი-ქალი. დამპალ საძირკველზე მენშევიკებს სწადიათ მოათავსონ ძველიც და რამდენიმეთ ახალი შენობაც. სახელგანთქმულ კერძო ინიციატივას გვერდით ისინი აყენებენ საყოველთაო შრომის ბეგარას, ბიუჯეტის წონასწორობის მიღწევას ისინი ლამობენ შტატების შემცირებით და უფრო კი ყოვლად უნიადაგო კეთილი სურვილებით. მრეწველობისა და სასოფლო-მეურნეობის აყვავება, ქაღალდის ფულის შემცირება, ოქროს ვალიუტის შექმნა და სხვა ასეთი პროექტები შეიძლება ლამაზათ გამოიყურებიან რეზოლიუციაში, მაგრამ მხოლოდ ლიტონი სიტყვებია, რამდენადაც მათ განსახორციელებლად მოწოდებულია არა მშრომელთა რევოლიუცია, ძველი ეკონომიური საფუძველის უარმყოფელი, არამედ უსახო და უშინაარსო „დემოკრატიის ძალები", ან და დასავლეთ-ევროპის კაპიტალისტები, რომლებსაც ვერავინ მოიტყუილებს აქეთ, ან თუ მოიტყუილებს, ისეთი პირობებით, რომ საქართველო ჩვეულებრივ კოლონიათ გადაიქცევა. ამ მოჯადოებულ წრიდან გამოსავალი მხოლოდ რევოლიუციაშია, ძველი ეკონომიური ცხოვრების ერთაბათ უარყოფაშია. მენშევიკებს, როგორც წინეთ, ისე ახლაც არ ესმით ახალი ცხოვრების ძახილი, ისინი რეფორმისტული მალამოს ლადებით ცდილობენ სასიკვდილოთ დაავადებულ სხეულის გამომრთელებას, გაურბიან რევოლიუციის ნესტარის ამუშავებას. და ამიტომაც მათ სულ ახლო მომავალში მოუხდებათ ახალი თათბირის მოწვევა, ვინაიდან ახლანდელი თათბირის ცომ-ცომა რეზოლიუცია უკვე მოძველებულია დღევანდელი დღისთვისაც კი. ხვალ კი, მშრომელ მასსების ტანჯვა წვალების საშინელი სურათები, ჯოჯოხეთური კბილთა ღრჭენის ხმა აიძულებს მათ ხელახლა გამართონ თათბირები და რეფორმისტული რეზოლიუციებით გადაელობონ რევოლიუციის მოთხოვნილებას. გახრწნა—ლპობა, ან წინსვლა, განვითარება—ასეა დასმული ისტორიის მიერ ჩვენი ყოფნა არყოფნის საკითხი. რევოლიუცია და არა რეფორმები—ასეთი უნდა იყოს ჩვენი პასუხი, მშრომელთა მასსების გამოძახილი.

## გრძელი რეზოლიუცია

დასრულდა მენშევიკების თათბირი, რომელსაც უნდა გამოემუშავებია ზომები ეკონომიური კრახის და მისი შედეგების თავიდან ასაცილებლათ. თათბირმა შეიმუშავა გრძელი რეზოლიუცია და მით მენშევიკების მორიგი კამათი სავსებით ამოიწურა.

დიდი რეჩები, დიდი თეორეტიული მოსაზრებანი, ცოტაოდენი დავა, ცოტაოდენი კამათი—და ყველა ამის შედეგათ საქართველოს შეემატა ერთი ზედმეტი ორგანიზაცია, ეგრედწოდებული ეკონომიური საბჭო, რომელსაც, უეჭველია, ბლომათ მიაწყდება სინეკურის, ანუ სამადლო ადგილის მოტრფიალეები. აი ჯერჯერობით და შეიძლება საბოლოვოთაც ის პრაქტიკული ნაყოფი, რომელიც წარმოიშობა ამ ხანგრძლივი თათბირის გაგრძელებული რეზოლიუციიდან.

გვაგონდება მსგავსი შემთხვევა, როდესაც გააფთრებულ სპეკულიაციასთან საბრძოლველათ, უფრო კი ობივატელების აღელვებულ გრძნობათა დასამშვიდებლათ მენშევიკებმა მთელი კანონი შეიმუშავეს სპეკულიაციის წინააღმდეგ და მის ცხოვრებაში გასატარებლათ განსაკუთრებული რაზმიც კი შექმნეს. მერე რა იქნა ის კანონი, ან რას მოღვაწეობს განსაკუთრებული რაზმი? კანონისა რა მოგახსენოთ, განსაკუთრებულ რაზმს კი ჩვენ, ყველა კომუნისტები, ძალიან დაახლოვებით ვიცნობთ. სპეკულიაციასთან ბრძოლის საბაბით შედგენილი რაზმი „ახრანკათ" გადააქციეს და მთელი მისი ენერგია ჩვენი პარტიის წინააღმდეგ მოამართეს. თავდაპირველათ რამდენიმე ათეულისაგან შემდგარი, ის ამ ჟამათ რამდენიმე ასეულისაგან და შეიძლება ათასეულისაგან შესდგება და მენშევიკურ პოლიტიკური მიზნებით გამსჭვალული ერთგულათ ემსახურება შინაგან საქმეთა სამინისტროს.

როგორ ჩამოყალიბდება, ან რა უწყებას დაექვემდებარება ახლათ გამოცხვარი ეკონომიური საბჭო,—დანამდვილებით არ შეიძლება ახლავე ითქვას. მაგრამ ის, ჯერ კიდევ შეუდგენელი, უკვე ასრულებს თავის როლს. ირგვლივ გამეფებულ საშინელი უკმაყოფილების გასაფანტავათ მენშევიკებს მზათ აქვთ დამაწყნარებელი და მანუგეშებელი სიტყვები: აი, ეკონომიური საბჭო შესდგება და მაშინ ნახავთ, როგორ კარგათ წავა საქმეო.

საქმე კი ძველებურათ წავა. ყოველ გაჭირვების დროს შესაფერი რეზოლიუცია იქნება გამოტანილი, სადაც შექმნილი მდგომარეობა დამოუკიდებელ მიზეზებს დაბრალდება და იმედი იქნება გამოთქმული, რომ ბრძნული ზომებით ეს მდგომარეობა უეჭველათ ძლეული იქნება.

თათბირის რეზოლიუცია სავსებით გამოხატავს მენშევიკების საქმიანობის ყველა დამახასიათებელ თვისებებს დაწყებული საერთაშორისო მდგომარეობის შეფასებით და გათავებული უცხო ტომის ბურჟუაზიულ ელემენტებთან ნაციონალისტური ბრძოლით.

ომის გამო ყველაფერი დაინგრა, ჩაინთქა და აიწეწ-დაიწეწაო—ამბობენ რეზოლიუციის ავტორები და ამით ცდილობენ გააბევინონ მათ [illegible] თავისი ნამდვილი გულის ნადები: რა ჩვენი ბრალია, თუ საქართველოშიაც ასეთი და უარესი ამბები ხდებაო.

რუსეთის თვითმპყრობელობა საქართველოს სცარცვავდა და ქართველმა მენშევიკებმა ეკონომიურათ დაშლილი ქვეყანა ჩაიბარესო,—განაგრძობენ ავტორები სხვის თავზე ქაქალის მტვრევას. იმას კი აღარ ამბობენ, რომ სწორეთ რუსეთიდან დარჩენილი ქონება უდგამდა მათ სულს ამდენ ხანს და მისმა გამოლევამ შეატყობინა მათ ეკონომიური კრახის მოახლოვება.

მერე რა ზომებით ფიქრობენ მენშევიკები კრახის დაძლევას? მაგრამ განა ზომებზე ღირს ლაპარაკი, როდესაც უკვე გამოპლანულია მორიგი ორგანიზაცია, რომელმაც ყოველგვარ სენს მალამო უნდა დასდოს.

ზომები ძველის ძველია, როგორც ძველია მენშევიკების ორწყალ შუ ტრიალი, მათი „არც აქეთ, არც იქით"—ის პოლიტიკა, მათი არც მემარჯვენეობა, არც მემარცხენეობა. თვით მენშევიკები აღიარებენ, რომ ამ ზომათა შორის არაფერია ახალი, ყველა ისინი წინანიც იყვნენ აღნიშნული, ახლა მხოლოთ ყველა ისინი თავმოყრილია და სისტემაში ჩამოყალიბებულია. თუ წინათ არ განხორციელდენ ისინი, ახლაც არაფერი არ უზრუნველყოფს მათ სიტყვიდან საქმეთ ქცევას.

ამ ზომებში თვით მენშევიკები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ქალაქის გაწმენდას „პარაზიტული ელემენტებიდან". მას აქეთ, რაც მათ საქართველო გულმოდგინეთ გასწმინდეს უცხო ტომის და აგრეთვე ქართველი ჩამომავლობის მშრომელი ელემენტებიდან, მას აქეთ, რაც მათ ასობით გაისტუმრეს აქედან ჩვენი პარტიის წევრები, როგორც უცხო, ისე, უფრო მეტი,—ქართველები, სწორეთ დროულია, რომ უცხო ტომის „პარტიულ ელემენტებზედაც" მიიტანონ იერიში.

უცხო ტომის, მაგრამ არა ქართველი მოდგმის! ეტყობა, საკმაოთ ძლიერათ გაშალა ფრთა ჩვენმა საკუთარმა პარაზიტულმა ელემენტმა, და მას ველარ მოუთმენია მის გვერდით მყოფი უცხოეთის სპეკულიანტური თარეში. მთელი ბაზარი მთლათ უნდა მიისაკუთროს მან და მთავრობაც ეხმარება მისი უფრო ძლიერი მეტოქეების განდევნით. ეგებ ამით მაინც შეიქმნას იქ ქართველი ბურჟუაზიული კლასი, რომელმაც ამდენ ხანს დააგვიანა საქართველოს მშრომელი ხალხის ნაშრომს შეუცილებლათ დაპატრონებოდა.

რაღა უჭირს ქართველ მუშას და გლეხს ასეთი პოლიტიკის განხორციელების შემდეგ!

## მესამე ინტერნაციონალი ევროპაში

### გერმანია.

მეორე ნაწილი კი „ცენტრის", უმთავრესათ დიტმანის მეთაურობით, რომლის სახელის ირგვლივ ასეთი ხმაურობა ატყდა უკანასკნელათ რუსეთში და გერმანიის სოციალისტურ წრეებში, თავიდანვე სხვანაირათ უყურებდა საქმეს. მათი აზრით მეუმრავლესეთა პარტიაში, დამოუკიდებულებში, იბრძოდა ორი ფრთა: ერთი—ლენჩის და შიპპენის მეთაურობით—სოციალ-იმპერიალისტური; მეორე კი,—შეიდემანის—სოციალ პატრიოტული, ხოლო განსხვავება ამ მემარჯვენე და მემარცხენე ფრთის შორის მათი აზრით უფრო დიდი იყო, ვინემ ამ უკანასკნელისა და „ცენტრს" შორის. ამნაირათ დიტმანელები უფრო მეუმრავლესობისკენ იყურებოდნენ, ვინემ მემარცხენეებისაკენ.

მიუხედავათ ასეთი სიტყვიერი განსხვავებისა, დამოუკიდებელთა პარტიაში მყოფ „ცენტრის" ორ ფრთას შუა საერთო ის იყო, რომ ორივე ნაწილი ფაქტიურათ აწარმოებდენ მეუმრავლესეთა მიმართ არა პრინციპიალურ ბრძოლას. მათ შორის განსხვავება იყო ასე ვთქვათ რაოდენობითი და არა თვისებითი, მე ზედმეტათ მიმაჩნია, მაგალითად ლაპარაკი შეიდემანელების ინტერნაციონალიზმზე, მარა არსებითად იგივე იყო ომის დროს. ჰააზე-ლედებურ-დიტმანის ინტერნაციონალიზმი, რომლის სიფართოვე განისაზღვრებოდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, იმ მანძილით, რომელზედაც დაცილებული იყო მოწინააღმდეგე კოალიციის არმია ფატერლანდის საზღვრებზე: რაც უფრო შორს სტყორცნიდა გერმანიის ჯავშნიანი მუშტი ამ არმიას, მით უფრო ფართოვდებოდა ამ „დამოუკიდებლების" ინტერნაციონალიზმი და პირიქით, ეს ინტერნაციონალიზმი ვიწროვდებოდა და ჰქრებოდა, რაც უფრო საფრთხეში ვარდებოდა მათი აზრით გერმანია. ქვეყნათ არ მოიპოვება ისეთი „სოციალისტური" პარტია, რაგინდ მემარჯვენეზე მემარჯვენე იყოს ის, რომ ამჟამათ და ამ ფარგლებში თავის თავი არ გამოაცხადოს ინტერნაციონალისტურათ. მარა ჩვენ უეჭველათ გამოვიდოდით ისტორიული სიმართლის ფარგლებიდან, რომ გვეთქვა თითქოს ასეთი იყო სულისკვეთება იმ პარტიული მასსის, რომელიც შეადგენდა დამოუკიდებელთა ლაშქარს. როგორც ყველგან ომის დროს და უფრო მის შემდეგაც, ეს მასსა უფრო მწვავეთ გრძნობს მთელი თავისი მდგომარეობით ომის მიერ შექმნილ პირობებს, მის მიერ გამოწვეულ კრიზისს ცხოვრების ყველა სფეროებში. მისი რევოლიუციონური შეგნება წინ უსწრებს ოპორტუნისტური მეთაურების, პარლამენტის წევრების, საზოგადოთ პარტიული და პროფესიონალური ბიუროკრატიის დამყაყებულ „შეგნებას", მის ვიწრო მისწრაფებებს და ამაში უნდა ვეძიოთ ახსნა ჰალლეში მომხდარ ამბებისაც.

როგორც ვიცით დამოუკიდებელთა კონგრესის გადაწყვეტილებას წინ უძღოდა დისკუსია იმ პლატფორმის შესახებ, რომელიც წამოაყენა კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესმა ამ ინტერნაციონალში შესვლის მსურველ ყველა სოციალისტურ თუ კომუნისტურ პარტიების მიერ წინასწარ მისაღებათ. ვერც აშკარა ბურჟუაზიულმა, ვერც სოციალ-გამცემლების პრესის ყვირილმა იმის შესახებ, რომ თითქოს მოსკოვის კონგრესის მიერ წამოყენებული პირობები მოასწავებენ მთელი ევროპის სოციალიზმის ლენინის წინაშე წამოჩოქებას, მისი ბატონობის დამკვიდრებას მსოფლიო პროლეტარიატზე და ამნაირათ ნაციონალური სექციების სრულ დამოუკიდებლობის მოსპობას, მთელმა ამ ლათაიებმა ვერაფერი ვერ გააწყვეს, პირიქით მიუხედავათ იმისა, რომ ეს პირობები გულისხმობენ შეურყეველ რევოლიუციონურ ნების ყოფას, რევოლიუციონურ დისციპლინას, შეურიგებელ კლასობრივ ბრძოლის ტრადიციებს რაზედაც საშინელი გავლენა იქონია ხუთი წლის ომის დროს ფართოდ ამუშავებულმა პროლეტარულ იმპერიალისტურმა და ნაციონალ-სოციალისტურმა იდეოლოგიამ და ესეც მაშინ, როდესაც ზემოხსენებულ ტრადიციებს არ ჰქონდა სათანადო ნიადაგი წარსულ „მშვიდობიან" ისტორიულ ხანაში, მიუხედავათ ყოველივე ამისა, ეს კომუნისტების პლატფორმა შეიქმნა ბრძოლის დროშათ გერმანიის პარტიულათ აღზრდილ პროლეტარიატის დიდი ნაწილისათვის. ამით არის სწორეთ შესანიშნავი მსოფლიო კრიზისების ხანა, რევოლიუციონური სიტუაცია, როდესაც კომუნისტური შეგნება გასაოცარი სისწრაფით იპყრობს მასსებს.

ჰალლეს გადაწყვეტილება უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია. კომუნისტურ ინტერნაციონალს ემატება ევროპაში ინდუსტრიალურათ ყველაზე უფრო განვითარებული ქვეყნის პროლეტარული პარტია, ძლიერი თავისი კომუნისტური შეგნებით, რევოლიუციონური ნებისყოფით და ფოლადისებური დისციპლინით შეკავშირებული, რომლის წევრთა რიცხვი აღემატება რვაას ათასს, და რომელიც კომუნისტურ პარტიასთან და ჯგუფებთან ერთად წარმოადგენს უძლიერეს რევოლიუციონურ პარტიას დასავლეთ ევროპაში. პარტია მაგრდება მით, რომ სწმენდს თავის რიგებს და გერმანიის მემარცხენე დამოუკიდებელთა პარტიაც გამონაკლისი არ იქნება აქედგან მის შემდეგ, რაც მას მოსცილდა ისეთი განსახიერება პოლიტიკური უხასიათობის როგორიც იყო ლედებურ-დიტმან-კრისპინის კომპანია.

ჰალლეს მაგალითი არის სხვათა შორის ერთი მაგარი და მწვავე შოლტი მათთვის, რომლებსაც ცდა არ დაუკლიათ შეექმნათ უკანასკნელ ხანებში ლეგენდა ეგრედ წოდებულ „აღმოსავლეთის ფანატიკოსების" შესახებ და დაუპირისპირებიათ ისინი „დასავლეთისათვის". მე დიდ იმედებს არ ვამყარებ იმაზე, რომ ჰალლე გააფრთხილებს პირადათ ამ პოლიტიკურ მოღვაწეებს და შეანგრევს ზოგიერთი მათგანის სქელ შუბლებს, მარა ერთი კი მგონია, რომ ეს გაკვეთილი ჩამაფიქრებელ მასალას მისცემს ამ მხრივ მათი „სამწყსოს" ზოგ ელემენტებს მაინც.

ქ. კრედო.

## ინტერნაციონალის გარშემო

**საფრანგეთის სოციალისტები და კომუნისტური ინტერნაციონალი.**

დანიელ რენუმ გამოაქვეყნა „ჰუმანიტეში" კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პასუხი საფრანგეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მემორანდუმზე, რომელიც წარდგენილ იქნა მოსკოვში მისი დელეგატების კაშენის და ფროსარის მიერ.

ეს პასუხი შეიცავს ცხრა პირობას, რომელიც წაუყენა მოსკოვის მთავრობამ უპირველეს ყოვლისა საფრანგეთის სოციალისტებს, და რომელიც ახლა სურს მესამე ინტერნაციონალის საფრანგეთის კომიტეტს საფუძვლათ დაუდვას პარტიის შემდეგ მოღვაწეობას.

მოყავს რა თითეული პირობა, რენუ იმავე დროს გვაცნობს მისი ჯგუფის დამოკიდებულებას მასთან. 1) სოციალისტურმა პარტიამ უნდა შესცვალოს თავისი პროპაგანდის ხასიათი პრესაში. ამ პირობაზე რენუ უპასუხებს, რომ ის თანახმაა სისტემატიურათ და გარკვევით გაატაროს პარტიულ პრესაში სოციალისტურ რევოლიუციის იდეა. 2) კოლონიალურ საკითხში სოციალისტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღიური.

— გაფიცვები ინგლისში ფართოვდება. სამ მილიონ ნახევარი მუშაა გაფიცული. დაარსდა არალეგალური საბჭო. მთავრობა დაიბნა და პროვინციაში გასაქცევათ ემზადება. მსხვილ სამრეწველო ცენტრებში თავს უყრიან სამხედრო ძალებს.

— ჰუნგრეთში შეტაკებები ხდება პოლიციასთან.

— რეიხსტაგის დეპუტატი, დამოუკიდებელი აბერჰოლდი გაძევებულ იქნა პარტიიდან.

რი პარტია უნდა იდგეს იმ თვალსაზრისზე, რომ საჭიროა ვარის თქმა კოლონიებზე, ამავე დროს საჭიროა ძმური გრძნობების განვითარება მუშებში კოლონიების მცხოვრებთა მიმართ, ხოლო არმიაში კი საჭიროა სისტემატიური პროპაგანდის წარმოება კოლონიალური ჩაგვრის წინააღმდეგ, რენუ აღფრთოვანებით ეთანხმება ამ მუხლს. 3) აუცილებელია სოციალ-ფატიფიზმის მთელი არაგულწრფელობის და სიყალბის მხილება; მუშებისთვის საჭიროა სისტემატიური ახსნა-განმარტება იმისი, რომ კაპიტალიზმის რევოლიუციონურათ მოსპობის გარეშე ვერავითარი სამედიატორო სასამართლო, ვერავითარი განიარაღება ვერ უზრუნველყოფენ კაცობრიობას ახალ იმპერიალისტურ ომებისაგან, ამაზე რენუ თანხმობას აცხადებს. 4) საფრანგეთის სოციალისტური პარტია უნდა ისწრაფოდეს კომუნისტურ ელემენტების მოწყობისაკენ შრომის საყოველთაო კონფედერაციის წიაღში, რათა შეუდგენ ბრძოლას სოციალ-გამცემლების წინააღმდეგ, რომლებიც დგანან მის სათავეში. ამასაც ეთანხმება ამხ. რენუ-მხოლოთ იმ პირობით, რომ აუცილებელია ვუფრთხილდეთ გათიშვას პროფესიონალურ კავშირებში, და რომ კომუნისტებმა უნდა აწარმოონ მხოლოდ პროპაგანდა კლასიურ ბრძოლის სულის განვითარებისა და რევოლიუციისათვის, და იმისთვისაც, რომ შევუგუოთ მუშათა პოლიტიკური ორგანიზაციები ეკონომიურ ორგანიზაციებს. აქ ლაპარაკია იმისესახებ, რომ შევასრულოთ ეს პირობები და არა პოლემიკით გავერთოთ. 5) სოციალისტურმა პარტიამ უნდა დაიმორჩილოს პარლამენტული ჯგუფები ფაქტიურათ, და არა მარტო სიტყვებით.—ამ პირობაზედაც თანახმაა აგრეთვე რენუ. 6) ახლანდელ ამ უმრავლესობის პარტიამ საბოლოოთ უნდა გასწყვიტოს კავშირი რეფორმისტებთან და გამორიცხოს თავის შემადგენლობიდან ყველა ელემენტები, რომლებსაც არ სურთ ახალი რევოლიუციონური გზით სიარული. მიდის რა ამის წინააღმდეგ რენუ უმატებს, რომ ეს პირობა არ შეიცავს განსაზღვრულ წინადადებას გამოირიცხოს პარტიის რომელიმე ინდივიდუალური წევრი მის შემადგენლობიდან. 7) პარტიამ უნდა შეიცვალოს თავისი სახელწოდება და აშკარათ, მთელი მსოფლიოს წინაშე გამოაცხადოს თავისი თავი საფრანგეთის კომუნისტურ პარტიათ. ამის შესახებ რენუ ამბობს, რომ ყველა ჭეშმარიტი სოციალისტები კომუნისტები არიან, მხოლოდ იმისთვის, რომ არ დატოვონ დროშა დისიდენტების ხელში, მისმა ჯგუფმა უკიდურეს მემარცხენე ბელადებთან შეთანხმებით გადასწყვიტა შეინარჩუნოს პარტიის წინანდელი სახელწოდება. 8) ისეთ დროს, როდესაც ბურჟუაზიამ შექნა არაჩვეულებრივი მდგომარეობა მუშებისა და მათი ბელადებისათვის, საფრანგეთის პარტიულმა ამხანაგებმა უნდა აღიარონ კანონიერ მოღვაწეობის. არაკანონიერი მოღვაწეობასთან შეერთების აუცილებლობა. ამის წინააღმდეგ რენუს არაფერი არ აქვს. 9) სოციალისტურმა პარტიამ სხვა დანარჩენ პარტიებთან თანასწორათ, რომლებსაც სურთ მიემხრონ მესამე ინტერნაციონალს, უნდა იცნოს კომუნისტურ ინტერნაციონალის ყველა დადგენილებანი თავისათვის სავალდებულოთ. სხვა და სხვა გარეშე პირობები, რომლებშიაც ცალკე ქვეყნის მუშებს უხდებათ ბრძოლის წარმოება, მშვენივრათ იცის კომუნისტურმა ინტერნაციონალმა. ამ პირობაზეც თანახმაა რენუ.

პარტიას მიეცემა სამი წინადადება: 1) განაცხადოს მესამე ინტერნაციონალთან შეერთების სურვილის შესახებ: 2) მიიღოს ზემოჩამოთვლილი ცხრა პირობა აღნიშნულ შენიშვნებით; 3) დაუყონებლივ აირჩიოს ახალი დელეგაცია, რომელმაც ფაქტიურათ უნდა განახორციელოს მესამე ინტერნაციონალთან შეერთება.

„ჰუმანიტეს“ იმავე ნუმერში კაშენი ხელახლა მოითხოვს მესამე ინტერნაციონალთან შეერთებას, და უთითებს იმაზე, რომ არსებითად, წამოყენებულია ჩვენს წინაშე მხოლოთ ერთი პირობა, სახელდობრ: გადაჭრით უარვყოთ თანამშრომლობა სხვა საზოგადოებრივ კლასებთან, ვიმოქმედოთ, როგორც სოციალისტებმა და მოვამზადოთ რევოლიუცია.

# ბიულეტენი პრესბიუროსი

**რ. ხ. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.**

### სანიტარულ და ტეხნიკურ ინსპექტორების ყრილობა.

**მოსკოვი,** 20 ოქტომბერი. ამა წლის პირველ ოქტომბერს შრომის სახალხო კომისარიატის მიერ მოწვეულ იქნება სანიტარულ და ტეხნიკურ ინსპექტორთა სრულიათ რუსეთის ყრილობა.

### სოფლის მცხოვრებთა შრომის ბეგარა.

**მოსკოვი,** 20 ოქტომბერი. სოფლის მცხოვრებთა შრომის ასამაღლებლათ შრომის მთავარ კომისარიატის მიერ ინსტრუქცია გამოიცა (რკ. გზ. თოვლისაგან განსაწმენდათ და სხვა).

სოფლის მცხოვრებთ არ ექნება დავალებული ხანგრძლივი სამუშაო ბეგარა და არც განსაზღვრული ძნელი სამუშაო. ასეთი სამუშაოებისთვის განსაზღვრული მუდმივი შრომის ნაწილები არსებობენ.

მასიური შრომაში იწვევენ სალ ადამიანებს: მამაკაცებს 16 წლიდან, 50 წლამდის, ქალებს—16-ან 40-მდის. მომუშავენი რაზმებათ იყოფებიან.

### ლიტვის პრემიერი ბალშევიკების შესახებ.

**ბერლინი,** 15 ოქტომბერი. ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა გაზ. „ფრეიხეიტის“ თანამშრომელთან, რომ ბალშევიკებმა ლოიალურათ აასრულენ ყოველივე თავისი დანაპირები.

### ფინლიანდია იარაღს ისხამს.

**მოსკოვი,** 20 ოქტომბერი. ფინეთის სამხედრო მინისტრმა გამოიმუშავა გეგმა ფინის ყურის სამხედრო ფლოტის ასაშენებლათ, რისთვის .სესხათ თხოვილობს 60 მილიარდ მარკას—6 წლის ვადით.

### ტორფის ფინები.

**დონის-როსტოვი,** 18 ოქტომბერი. მილლეროვის და გლუბოკის რაიონებში აღმოაჩინეს ტორფის კოლოსალური ფინები, რომელიც შეიძლება დღეიდანვე დაამუშავონ.

### შვიდ მილიონიანი არმია.

**რეველი,** 14 ოქტომბერი. ამერიკის „დეილი-გერალდის“ კორესპონდენტი იუწყება, რომ ამერიკის მთავარი შტაბი იმუშავებს გადიდების გეგმას 7 მილიონ კაცამდის; განზრახულია საერთო სამხედრო ბეგარის შემოღება.

### საერთაშორისო სტატისტიკა.

**რეველი,** 18 ოქტომბერი. „დეიტაშე ალგემეინე ცეიტუნგი“ იუწყება, რომ მუდმივი საერთაშორისო სასტატისტიკო ინსტიტუტს (გაღში) თავისი უდიდესი შრომა დაუთავებია და მოკლე დროში გამოუშვებს დიდ წიგნს მთელი ქვეყნის მცხოვრებთა სტატისტიკის შესახებო.

### შრომის კონფედერაციის მეუმცირესეთა ყრილობა.

**მოსკოვი,** 20 ოქტომბერი. საერთო შრომის კონფედერაციის მეუმცირესენი. არლეანის ყრილობის შემდეგ, სპეციალურათ აწყობენ ახალ ყრილობას და სწყვეტენ არ გამოვიდენ შრომის კონფედერაციიდან, შიგვე დაარსონ ერთეულები და აწარმოონ რევოლიუციონური პროპაგანდა.

### რუსეთის ზედგავლენა ინგლისელზე.

**მოსკოვი,** 20 ოქტომბერი. „ლებურ ლიდერში“ მოთავსებულია ქოლლედის შესანიშნავი წერილი დამოუკიდებელ მუშათა პარტიის წარმომადგენელის, რომელიც რუსეთში გასაგზავნ ინგლისის დელეგაციაში შედის. წერილში მოთავსებულია უელლხედის შეხედულება რუსეთზე:

„შეიძლება ითქვას, რომ სოციალიზმი, როგორც სისტემა, ჯერ კიდევ არ არსებობს რუსეთში, მაგრამ ამას არც დღევანდელი რუსეთის მესვეურები უარ ჰყოფენ. რუსეთში ამჟამათ კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადამავალი ხანაა, რაც მუშების მხრივ დიდს უნარს თხოვილობს. შეძლებენ ისინი ამ კრიზისის გადატანას? უნდა აშკარათ ვაღიაროთ, რომ ამ გზაზე ბევრი ხიფათია მოსალოდნელი. მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ რევოლიუციის ხელმძღვანელები პირველყოვლისა რეალისტებია. მათ არ ეხამუშებათ თავისი შეცდომების აღიარება, ტაქტიკის გამოცვლა, ნაცადი გზის უარისყოფა, თუ ამას მათ აუცილებლობა აიძულებს, ოღონდ—კი მათი მთავარი მიზანი—სოციალისტური წყობილება არ დამარცხდეს“.

### ბრიტანიის კომუნისტური პარტია და მუშათა პარტია.

**მოსკოვი,** 18 ოქტომბერი. ამ სათაურით ბრიტანიის კომუნისტურ პარტიის ორგანოს, „კომუნისტს“ ანგარიში მოჰყავს იმ ცდის შესახებ, რომელიც მესამე ინტერნაციონალის მეორე ყრილობის დადგენილების, ცხოვრებაში გაყვანას შეიცავს და რაც ბრიტანიის კომუნისტური პარტიის პირველმა ყრილობამაც მიიღო. ამ დადგენილების თანახმათ კომუნისტური პარტია მუშათა პარტიაში უნდა შესულიყო ბრძოლის მიზნით, რომ ამ მუშათა პარტიის წიაღში გაევრცელებია, გაევითარებია კომუნისტური იდეები.

ბრიტანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დადგენილება მით შეასრულა, რომ მუშა პარტიას განცხადებით მიმართა, რომელშიც ნაჩვენები იყო ბრიტანიის კომუნისტური პარტიის მიზნები, მეთოდი და პოლიტიკა; განცხადებაში თხოვდენ მუშათა პარტიას, რომ მიეღოთ ისინი პარტიაში. პასუხმა დაიგვიანა დიდი ხნით. ცენტრალურმა კომიტეტმა არაოფიციალურათ გაიგო, რომ ეს საკითხი პორტსმუტში ტრედ-იუნიონელების ყრილობაზე გასარჩევათ გადაუდვიათ.

ამასობაში ჩვენ აღგვიკრძალეს განსაკუთრებულ მუშათა ყრილობაზე ჩვენი წარმომადგენელის გაგზავნა, იმ ყრილობაზე რომელზედაც „მოქმედების საბჭო“ შედგა. ამის მიზეზათ იმას ასახელებენ, რომ ბრიტანიის კომუნისტური პარტია არ შედიოდა მუშათა პარტიაში.

პორტსმუტში აშკარა შეიქნა, რომ ჩვენს განცხადებას მუშათა პარტიაში მიღებაზე უარით უპასუხეს.

ეგ უარი მუშათა პარტიაში ჩვენს მიღებაზე სამუდამოთ დადასტურებული უარია. ჩვენი მიზნები ალბათ არ ეთანხმება „მუშათა პარტიის“ მიზნებს. მართალი რომ ვთქვათ, ჩვენ ამაში ეჭვი არ შეგვქონდა. მაგრამ ჩვენ გვეგონა, რომ მუშათა პარტია ისეთ ფართო მიზნების პარტიას წარმოადგენდა, რომ მასში იქნებოდა ადგილი ყველა მიმდინარეობისათვის, რომლებიც კი შეგნებულ პროლეტარიატის ნება-სურვილს გამოხატავს

მიგვიღებენ თუ არ მიგვიღებენ მუშათა პარტიაში, ჩვენ მაინც ოდნავათაც არ ვულალატებთ ჩვენს მიზნებს, თუგინდ ამ ჩვენ მიზნებს მუშათა პარტია არ იწონებდეს კიდეც.

(ბეჭდვითი ბიუროს შენიშვნა: როგორც ვიცით ბრიტანიის „მუშათა პარტია“ ტრედ-იუნიონელთა კავშირის პოლიტიკური განყოფილებაა და მასში შედიან მუშათა სხვადასხვა ორგანიზაციები).

### ინგლისის მწერალთა პროტესტი

**მოსკოვი,** 20 ოქტომ. გაზ. „ტაიმსმა“ სექტემბერში მწერლების უელსის, მეიფილდის, მარრეის, ხობხოუას და სხვების საპროტესტო წერილი გამოაქვეყნა მთავრობის მიერ ირლანდიის მიმართ წარმოებულ პოლიტიკის გამო:

„ამ პოლიტიკის უკანასკნელ სიტყვას საალყო წესები წარმოადგენს. სამხედრო სასამართლოები ჩვეულებრივ მოვლენათ იქცა. ამ სასამართლოების სხდომები იდუმალებით არიან მოცული. პატიმრები გამოუძიებლათ სხედან ციხეებში განუსაზღვრელ დროით. გელის ლიგა, რომელსაც ირლანდიის აყვავება ჰქონდა მიზნით დასახული, და დელ-ერინის ორგანიზაცია, რომელსაც ირლანდიის მცხოვრებთა ²/₃ ეკუთვნის, კანონს გარეშე არიან გამოცხადებული. ამისთვის თითქმისყველა ირლანდიელები ამ აკრძალულ ორგანიზაციების წევრობისათვის დაპატიმრების საფრთხეში არიან. ირლანდიაში ინგლისელებს აფასებენ მისი საქმეების მიხედვით და არა კარგი სიტყვებით“.

დაბოლოს წერილი მოითხოვს, რომ ინგლისის მთავრობამ პოლიტიკა შესცვალოს ირლანდიაში.

### სელის ბამბა

**მოსკოვი,** 20 ოქტ. ამჟამათ ზოგ საქსოვ ფაბრიკებში ამუშავებენ ხელიდან გიგროსკოპიულ და სასარჩულე ბამბას. განზრახულია გიგროსკოპიული ბამბის დამუშავება დიდ მასშტაბით აწარმოონ.

### პროფესიონალურ კავშირების „ყვითელ“ ინტერნაციონალის თავმჯდომარის აპპელტონის ტრედ-იუნიონელებიდან გამორიცხვა.

**მოსკოვი,** 20 ოქტომბერი. პორტსმუტში ტრედ-იუნიონელების ყრილობაზე დაადგინეს შესწყვიტონ ყოველგვარი კავშირი ტრედ-იუნიონელების საყოველთაო ფედერაციასთან, რომლის სათავეში აპპელტონი არის. მიზეზი ამ გამორიცხვისა იყო აპპელტონის კამპანია სმაილსის და შთამადნებზე მომუშავეთა გაფიცვების სხვა დამცველთა წინააღმდეგ- აპპელტონის და მისი კამპანიის გაძევებას მხარი დაუჭირეს „სამთა კავშირის“ ყველა წარმომადგენლებმა (მათ შორის ტრანსპორტის, რკინისგზელების და მთამადნებზე მომშაველების)

### პარტიიდან გაძევება.

**რეველი,** 15 ოქტ. „ფორვერტსი“ იუწყება, რომ რეიხსტაგის დეპუტატი და დამოუკიდებელი აბერვოლდი, რომელმაც განნოვერში უკანასკნელათ მომხდარ ყრილობაზე, მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალში შესვლის პირობებზე უარი განაცხადა, კრების დადგენილებით პარტიიდან გარიცხეს.

### თევზის გაგზავნა ასტრახანიდან.

**მოსკოვი.** 20 ოქტ. 1920 წ. ნავიგაციის დაწყებიდან 1 სექტემბრამდის ასტრახანიდან 4,500,000 ფუთი თევზი გააგზავნეს.

### ინგლისის პუბლიცისტი საბჭოთა რუსეთის შესახებ.

**მოსკოვი,** 20 ოქტომბერი. ინგლისის ცნობილი პუბლიცისტი ბრეილსფორდი-რომელიც რამოდენიმე ხანს ვლადიმირის გუბერნიაში ცხოვრობდა გაზ. „დეილი—გეიროლდში“ ათავსებს თავის შეხედულებებს, აზრებს დღევანდელ რუსეთის სოფელზე. საერთო დასკვნა წერილისა ასეთია:

„თეთრ პოლონეთის მიერ საბჭოთა რუსეთისადმი ომის გამოცხადება აღმაშფოთებელი დანაშაულობაა კულტურის წინაშე. ეს ომი თავს დაატყდა რუსეთს ისეთ დროს, როდესაც მთელი ხალხი რაღაც აღფრთოვანებული ენტუზიაზმით შეუდგა საამშენებლო მუშაობას. იმ მოკლე დროში, დენიკინის დამარცხებისა და პოლონეთის შემოსევის შუა, რუსეთში გაჩაღდა გაცხარებული მუშაობა, რათა აღედგინათ ყოველივე ის, რაც ომმა შეიწირა და შეექმნათ ის, რაზედაც მეფის რეჟიმის დროს მხოლოდ ოცნებობა შეიძლებოდა. შეუდგენ სკოლების, საავადმყოფოების, ხიდების შენებას, რკინის გზების კეთებას და სხვა.

ყველაზე უფრო გამაცვიფრებელია გაცხარებული მუშაობა განათლების სფეროში. მიუხედავათ აუტანელ პირობებისა, რომელიც დაუსრულებელმა ომმა შექმნა, ამ სფეროში მუშაობა ძველი ენერგიული ტემპით მიმდინარეობს. წერაკითხვის უცოდინარეობა მალე ჩაბარდება არქივს. ახალი თაობა მიუხედავათ სქესისა და საზოგადო მდგომარეობისა, დაეწაფა მუშაობას მეცნიერების და ხელოვნების ყველა დარგებში, პოლიტიკურ ეკონომიიდან დაწყებული მუსიკამდი, ისეთ ბეჯითობით და გატაცებით, რომ „ბნელი“ რუსეთი მოკლე დროში უეჭველად პირველ ადგილს დაიჭერს სხვა კულტურულ ხალხთა შორის.

მოზარდი თაობა ბევრათ უფრო უკეთეს პირობებში არის, ვიდრე ცენტრალურ ევროპის ბავშვები. გაზაფხულზე ყველა დარწმუნებული იყო, რომ დენიკინის დამარცხების შემდეგ, დასავლეთის იმპერიალიზმმა შეიგნო, რომ უაზრობაა რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო ავანტიურების გაგრძელება და ხაზს შეკრავსო. ერთ-ერთ თოფის წამლის ქარხნის მუშები ამაყობით ამბობდენ, რომ ჩვენ შევძელით შრომის ნაყოფიერება ოთხჯერ მეტათ გაგვეზარდა ამ რევოლიუციონურ ხანაშიო. მაგრამ თავს დაგვატყდა ომი და შეგვიფერხა კულტურული მუშაობის მსვლელობაო.

რუსეთის ხალხმა მტკიცეთ გადაწყვიტა თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა დაიცვას საერთაშორისო კაპიტალის თავდასხმისაგან. იგი არ დაიშურებს არავითარ მსხვერპლს, რომ უზრუნველ ჰყოს თავისი სრული თავისუფლება და ახალი რუსეთის აყვავება“.

### ორთქლმავლების შეკეთება.

**პეტერბურგი,** 20 ოქტომბერი. ნიკოლაევის რკ. გზ. ალექსანდროვის ქარხანამ სექტემბერში შეაკეთა და გამოუშვა კაპიტალურ რემონტიდან ორთქლმავლების 10,3 პროც, მაშინ როდესაც აგვისტოში და ივლისში მხოლოდ 7,72 პროც. გამოვიდა.

### კართოფილის დაგროვება.

**მოსკოვი,** 20 ოქტომბერი. წარსული წლის სექტემბერში დააგროვეს 560,479 ფუთი ქართოფილი, ამა წლის სექტემბერში—კი—1,065,802 ფუთი.

### საზღვაო ბლოკადის დასასრული.

**მოსკოვი,** 24 ოქტომბერი. ინგლისის ფლოტი, რომელიც ბალტიის ზღვაში იყო, ინგლისში დაბრუნდა, ვინაიდან რუსეთსა და პოლონეთს შორის ზავის შეკვრის შემდეგ საზღვაო ბლოკადის გაგრძელება საჭიროთ არ იცნეს.

### გაფიცვები რუმინიაში.

**ბერლინი,** 25 ოქტ. რუმინიაში რკინის გზის კაჩეგარები და მემანქანეები გაიფიცნენ. სამხედრო მინისტრმა ბრძანება გასცა მობილიზაცია უყონ ყველა გაფიცულთ და მუშაობის შეჩერებისთვის სამხედრო სასამართლოში მისცენ გაფიცულები.

### განხეთქილება ანტანტის სახელმწიფოებს შორის.

**მოსკოვი,** 25 ოქტ. ვერსალის ზავის გარშემო ინგლისსა და საფრანგეთს შორის გაფრთებული ანტაგონიზმი ინთება; მოსალოდნელია მათი სრული გათიშვა. ინგლისი მოითხოვს, რომ გერმანიას შეღავათი მიეცეს, საფრანგეთს კი შიში აქვს გერმანიის სამხედრო ძლიერების აღდგენის შესაძლებლობის.

### სავაჭრო ურთიერთობა საზღვარგარეთთან.

**მოსკოვი,** 25 ოქტ. სექტემბერში რუსეთში გამბურგიდან 169 ვაგონი სამეურნეო იარაღები ჩაიტანეს.

### შორეულ-აღმოსავლეთის რესპუბლიკა.

**მოსკოვი,** 25 ოქტომბერი. ნერჩინსკის ოლქის მცხოვრებთა ყრილობამ აირჩია საოლქო აღმოსავლეთ ბაიკალის-იქეთა სახალხო რევოლიუციონური კომიტეტი 15 კაცისგან, რომელიც შეუდგება პრაქტიკულათ ცხოვრებაში გაიყვანოს ის ადმინისტრატიული და ეკონომიური გეგმა, რომელიც ყრილობამ ახლა გამოიმუშავა.

### კომუნისტური ფრაქციის შექმნა.

**მოსკოვი,** 24 ოქტომბერი. იტალიის გაზეთები იუწყებიან, რომ სოციალისტური სექციების წარმომადგენლებისგან და პარტიის წევრებისგან მოეწყო კომუნისტური ფრაქცია ბამბაჩის მეთაურობით.

### ახალი ჟურნალი.

**ბაქო,** 25 ოქტ. 21 ოქტომბერს გამოვიდა ახალი ჟურნალი—აღმოსავლეთის ხალხთა შორის მოქმედების და პროპაგანდის საბჭოს ორგანო—„აღმოსავლეთის ხალხთა ჟურნალი“.

### ვენიზელოსის პოლიტიკის შეცვლა ოსმალეთის მიმართ.

სტამბოლი, 15 ოქტ. სტამბოლის ოსმალური გაზეთი „ვაკიტი" ვენიზელოსის ოსმალეთისადმი პოლიტიკის შეცვლის გამო სწერს: „ვისაც თვალყური ედევნებოდა საბერძნეთის მოღვაწეების წინდელ განცხადებებზე, გაკვირვებით ხვდება ვენიზელოსის უკანასკნელ განცხადებას. რამდენიმე კვირის უკან საბერძნეთის პრემიერი დარწმუნებით ამბობდა, რომ ოსმალეთს არ ძალუძს სავო ხელშეკრულების პირობების ასრულებას და ანტანტა საბერძნეთს დაავალებს, რომ მან აიძულოს ოსმალეთი, ხელშეკრულებას დამორჩილდესო. ვენიზელოსს აფრთხილებდა საბერძნეთ. ხალხს მზათ ჰქონდა ანატოლიაში ახალი იმპერიის დაწყებისათვის, და მას ბანს აძლევდა საბერძნეთის პრესა, მღეროდა ელინთა ხმლის ახალ ტრიუმფებზე. ამ ჟამათ კი ჩვენ დიდ ცვლილებას ვამჩნევთ საბერძნეთის პრემიერის პოლიტიკაში, გარდა რით აიხსნება—კი ვიცით. რას ნიშნავს ეგ მოულოდნელი გამოსვლა ვენიზელოსის? ეს ცვლილება ან ეკს ლებენის თათბირის გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული, ან საბერძნეთის ოპოზიციონურ წრეების ზეგავლენაზე. ჩვენ უნდა ველოდეთ საბერძნეთის პრემიერის განცხადების დაწვრილებას, რომ გავიგოთ ვენიზელოსის შეხედულების გამოცვლის მიზეზი საბერძნეთ-ოსმალეთის საკითხში.

### „ილერი" სტამბოლის მდგომარეობის შესახებ.

სტამბოლი. 15 ოქტომბერი. გაზეთი „ილერი" გადმოგვცემს სტამბოლის საშინელ სურათს: „ზამთარი გვიახლოვდება, არ გვაქვს სურსათ-სანოვაგე, არც სათბობი მასალა, არც შიმოსვლის საშუალება! ხალხი საშინელ მდგომარეობაშია. მთავრობა დატანჯულ ხალხის მძიმე მდგომარეობის მოგვარებისათვის რაიმეთარ ზომებს არ ღებულობს.

### წითელი არმიისათვის.

სარატოვი, 27 ოქტომბერი. პროფესიონალურ კავშირების წევრი-მუშებმა და მოსამსახურეებმა ერთხმათ დაადგინეს დასავლეთ ფრონტის სასარგებლოთ თითოეულმა წევრმა თავისი კუთვნილი ერთდღეულობის ხვედრი წილი, გაადიდონ ორი საათით სამუშაო დღე ორი კვირის განმავლობაში და მოაწყონ თბილი ტანისაცმელების შეგროვება.

### პურის დანაწილება.

სარატოვი, 27 ოქტომბერი. ბალაშევის მაზრის გლეხები, რომლებმაც შეასრულეს მთელი ასი პროცენტი პურის დანაწილებისა, განაგრძობენ ნიარმებზე ზედმეტ პურის დაგროვებას.

### სამხედრო სასურსათო ფრონტის თვე.

სარატოვი, 27 ოქტ. სარატოვში დაიწყო სამხედრო-სასურსათო ფრონტის თვე, რომელსაც მიზნათ აქვს წარმოების გადიდება და ფრონტისთვის დახმარების აღმოჩენა ჯამაგირიდან თვიური გადარიცხვით „თვე" მიმდინარეობს დიდი წარმატებით..,

მუშები ადიდებენ სამუშაო დღეს. ყველა წარმოებები, სახელოსნოები, რომლებიც მეტყევეთა კავშირში შედიან, მთელი თვით გაადიდეს სამუშაო დღე. ბევრ სახელოსნოებში მუშებმა დააწესეს თორმეტი საათის სამუშაო დღე. მუშებმა და წითელ-არმიელებმა გადასდეს თავიანთი წილი ხვედრი ფული და სანოვაგე მშრომელთა მეეტლეების კავშირმა გადასდო 1500 მანეთი თითო ცხენის ძალობაზე.

პროლეტკულტი იძლევა ფრონტის დასახმარებლათ მთელ თვიურ შემოსავალს ყველა წარმოდგენებიდან.

### წითელი ჯილდოს ღირსნი.

ვლადიმირი, 25 ოქტ. (რადიო მოსკოვიდან) ანდრეევის კოლოსტმა პირველმა შეასრულა სავსებით მოთხოვნილება პურის გაწერისა. ჩემკავსკის ვოლოსტის გლეხებმა სამი დღის განმავლობაში მოიტანეს მთელი მათზე შეწერილი ხორბალი და გადასცეს საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს.

### სურსათის დამზადების ზრდა უკრაინაში.

მოსკოვი, 27 ოქტ. სურსათის დამზადება უკრაინაში აიწია სამი მილიონი ფუთიდან აგვისტოს თვეში ექვს მილიონ ფუთამდე სექტემბერში: ოქტომბერში კი დამზადება ავიდა ათ მილიონ ფუთამდე.

### წითელ არმიელების პროფესიონალური გაწვრთნა.

მოსკოვი, 27 ოქტ. დასავლეთ სამხედრო ოლქის პოლიტიკურ განყოფილებასთან არსდება წითელ არმიელებისათვის კურსები იმ მიზნით, რომ მოამზადონ დახელოვნებული მუშაკები სასოფლო მეურნეობისათვის.

## უკანასკნელი ცნობები

### ქვანახშირზე მომუშავეთა გაფიცვები ინგლისში.

მოსკოვი, 27 ოქტომბერი. მთავრობის მოლაპარაკებამ გაფიცულთა მეთაურებთან ვერასფერს მიაღწია, შეთანხმება არ მოხდა. გაფიცვა გრძელდება. ზოგი გაზეთები მუშების უფლებას გაფიცვებზე კანონიერათ აღიარებენ, მაგრამ გაფიცვებს ახლა უაზროთ სთვლიან და მოუწოდებენ მთავრობას დაუყოვნებლივ ლიკვიდაცია უყოს გაფიცვებს, რათა იხსნას ინგლისი კოლოსალურ კრიზისისგან.

უკანასკნელი ცნობების თანახმათ გაფიცულია მილიონ ნახევარი მუშა. ათასზე მეტი სამრეწველო დაწესებულება დახურულია. რკინის გზელ მუშებმა, წინააღმდეგ მათი ხელმძღვანელების გაფრთხილებისა გაფიცვები გამოაცხადეს, რაშიაც მონაწილეობას მიიღებს სამ ნახევარი მილიონი მუშა, რაც ჯერ არ ყოფილა ისტორიულ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს მუშათა მოძრაობის ისტორიაში. ფარული საბჭო მოუწოდებს ყველა მუშათა კავშირებს სასწრაფო გადაწყვეტილებებისთვის მოაწყონ განსაკუთრებული კამისია. მიღებულია ზომები ჯარების მცველობის ქვეშ პარლამენტი და მთავრობა ლონდონიდან რომელიმე პროვინციალურ ქალაქში გადაიყვანონ.

ტრანსპორტის მუშების თავმჯდომარემ, ვილიამსმა განაცხადა, რომ თუ 24 საათის განმავლობაში შეთანხმება თუ არ მოხდება, საქმე რევოლიუციონური ხასიათის ძალების ხმარებამდე მივაო.

მთავრობა თავს უყრის ჯარებს სხვილ საწარმოო ცენტრებში, მუშათა რაიონებში. მთავრობა შეშფოთებულია, დაბნეული...

### ინგლისის მუშათა გაფიცვების შედეგი.

მოსკოვი, 27 ოქტომბერი. ინგლისში ქვანახშირზე მომუშავეთა გაფიცვების დროს ქვანახშირის დამუშავება 270 მილიონი ფუთით დაეცა. მსხვილი ფაბრიკები მასალის უქონლობის გამო დადგენ. ლანკაშირში ქაღალდის ფაბრიკები კვირაში მხოლოდ სამი დღე მუშაობენ ნახევრათ შემცირებულ მუშების რიცხვით.

### იაპონელები სახალინზე

მოსკოვი, 27 ოქტ. (რადიო) მთელი სახალინი დაკავებულია იაპონელების მიერ. რუს მილიციას არ აქვს არავითარი ავტორიტეტი. იაპონელები აარსებენ მამასახლისთა ინსტიტუტს, იქ იქნება იაპონის მართველობის წარმომადგენელი. გაძლიერებული ტემპით გაჰყავთ რკინის გზები ნავთის ტბებისაკენ.

### იაპონელები სასტიკ ზომებს იღებენ კორეიელების წინააღმდეგ

პეკინი, 25 ოქტ. (რადიო მოსკოვიდან) კორეიაში მოსალოდნელ მოვლენების გამო, იაპონელები საჩქაროთ თავს უყრიან თავის ჯარებს რკინის გზასთან. იაპონელები მეტად სასტიკ ზომებს ღებულობენ იმ კორეიელების წინააღმდეგ, რომლებიც იბრძვიან თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის.

### სანამ გვიან არაა

ლიონი, 28 ოქტ. (საბერძ. რადიო) საფრანგეთი მოითხოვს იტალიისაგან 30 მილიონ ფრანკს საფრანგეთის ამუნიციისა და სამხედრო სურსათისათვის, რომელიც წელში ჩაიგდო დ,ანუნციომ ქალ. ფიუმეში.

### ტრანსპორტის აღდგენა.

მოსკოვი, 27 ოქტ. მოსკოვ-კიევო-ვორონეჟის რკინის გზათა დეპოებში სამი თვის განმავლობაში წარმოება გაიზარდა სამჯერ მეტად. რიაზანო-ურალის რკინის გზაზედაც წარმოებამ საგრძნობლად აიწია. სექტემბრის განმავლობაში ნავა-

## საქართველოს კომუნისტურ პარტიის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს

„ახ. კომ.", როგორც მუშათა კლასის ორგანო, მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის დანიშნულებას სავსებით ნაყოფიერათ, როცა ის რაც შეიძლება უფრო მჭიდროთ იქნება დაკავშირებული მუშების და გლეხების ცხოვრებასთან, როცა ის სინამდვილით და სისწორით გააშუქებს ამ ცხოვრებას.

ამიტომ აუცილებლათ საჭიროა, რომ თვითეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, იქნება ეს ქალაქის კომიტეტი თუ საგურბენიო, სამაზრო ან სასოფლო კომიტეტი, ან უბრალო სოფლის ორგანიზაცია იყოლიოს ერთი ან რამდენიმე პასუხისმგებელი კორესპოდენტი, რომელსაც დავალებული ექნება სისტემატიურათ უგზავნოს „ახალი კომ." რედაქციას ყოველგვარი ცნობები, მასალები და სხვა მუშათა და გლეხთა ცხოვრების შესახებ. ეს ცნობები და მასალები რაც შეიძლება მიუდგომლათ, ობიექტიურათ უნდა იყოს შედგენილი, რის პასუხისმგებლობა თვით ორგანზაციას აწვება.

ცენტრალური კომიტეტი.

რაუდევი 58 ორთქლ-მავლის მაგივრათ შეაკეთეს. 64.

### ერთი ცხადია.

მოსკოვი, 27 ოქტომბერი „გუდოკი" სწერს: ინგლისში ამბები ვლევს სისწრაფით ვითარდება. ქვანახშირზე მომუშავეთა გაფიცვებმა უკვე ძალუმათ შეარყიეს ინგლისის მრეწველობა. მხოლოდ 4 დღის განმავლობაში 3 მილიონი ტონი ნახშირი დაიკარგა, ე. ი. 6,100 სამარშრუტო 30 ვაგონიანი მატარებელი. ყველა მეფაბრიკე-ქარხნები და მმართველი წრეები საკვირველ დაბნეულობას იჩენენ. ლოიდ - ჯორჯი მარცხნიდანაც და მარჯვნიდანაც აცვივა ბრალდებები. როგორც არ უნდა გათავდეს გაფიცვები ერთი კი ცხადია: კაპიტალიზმი უმწეოა, კაპიტალიზმი უსუსურია. ორი წლის განმავლობაში ამ გაფიცვებს წინამორბედობათ წვრილწვრილი გაფიცვები უძღოდა, გარნა ბურჟუაზიას კი ვერ აღებია სწორი ტაქტიკა. ბურჟუაზია დაიბნა. ეს იმის ნიშანია, რომ კაპიტალიზმის აღსასრულის დღე დადგა.

ეს გენერალური გამოცდა ძალებისა სათავეა კოლოსალურ რევოლიუციონურ მოვლენების.

## ახალი ამბები

**ფინანსთა სამინისტროში.** ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროში შევიდა დასასკვნელად კავკასია სპარსეთის სამრეწველო საზოგადოების თხოვნა იმის შესახებ, რომ მას ტყვარჩელის ქვა ნახშირის ექსპლოატაციის უფლება მისცენ. ეს საზოგადოება წინადადებას იძლევა ნება დართონ მას ტყვარჩელის ქვა ნახშირის ექსპლოატაციისა საქართველოს მთავრობისათვის მისაღებ პირობებში. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ტყვარჩილის მაღალი ღირსების ქვანახშირის დამუშავება მეტად ჯანამტკიცებს საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობასაო. ტყვარჩელის ქვა ნახშირი თავისი ღირსებით ბევრათ უკეთესია ტყიბულისა და ოლთისის ქვანახშირზე და დონის უმაღლეს და საშუალო ნახშირს უდრისო. ტყვარჩერის ქვა-ნახშირი გემებისათვის წარმოადგენს საუკეთესო სათბობ მასალას, შესაძლებელია, მისი დაუზიანებლათ გადატანა შორ მანძილზე ისე, რომ არ დაიფშვნება. ტყვარჩელის რაიონის გამოკვლევამ გვაჩვენა, რომ მისი ნახშირის რაოდენობა 12 მილიარდ ფუთს უდრის. რომ შეიქმნეს ისეთი წარმოება, რომელიც წლიურათ 200 მილიონ ფუთ-ნახშირს და იმუშავებს, მაშინ ტყვარჩელის ნახიშირის მადანი არ გამოილევა 65 წელიწადს.

— **ქალაქის მცხოვრებთა აღწერა.** ოქტომბრის 27 მოხდა ცენტრალურ სტატისტიკური საბჭოს სხდომა პ. გელეიშვილის თავმჯდომარეობით 1921 წლ. საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა მცხოვრებლების აღწერის შესახებ მოსალაპარაკებლად. ამ აღწერას არა მარტო დემოკრატიული მიზანი იქნება, არამედ იგი შეეხება სოციალური ცხოვრების ყოველ მხარეს. აღწერის დროს გამოირკვევა ბინის პირობები, სახლების აღმშენებლობა, ვაჭრობა მრეწველობა, მუშათა და მოსამსახურეთა შრომის პირობები, პროლეტარიზაციის პროცესის გამოსარკვევათ. უნდა გამოირკვეს აგრეთვე კვალიფიციურ მუშათა რაოდენობა, მათი ორგანიზაცია და პარტიული მიმართულება. სტატისტიკურმა საბჭომ აღწერის ბარათის ფორმა უკვე შეიმუშავა. ბარათები იქნება პირადი, ბინებისა და ეზოების განზრახულია აღწერა ა.-წ. დეკემბრიდანვე დაიწყონ. ცენტრალურმა სტატისტიკურმა კომიტეტმა ამ შემოდგომის მოსავლისა და საერთო სასოფლო მეურნეობის გამოსარკვევად მაზრებში უკვე დაგზავნა სპეციალისტი სტატისტიკოსები.

— **სპილენძის დამუშავება.** კვარცხანაის სპილენძის ქარხნის დირექტორმა აღძრა შუამდგომლობა ფინანსთა სამინისტრო წინაშე 12 მილ. მანეთის სესხი მიცემის შესახებ. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემდეგ ქარხანა შეუდგება სპილენძის ჩამოსხმას.

— **ქალაქის საქმეები.** ქალაქის თვით მართველობის სამხედრო განყოფილება აცხადებს: გამოქვეყნებულ სიაში აღნიშნული პირნი უნდა გამოცხადდენ ნოემბრის 15 მდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი სამართალში იქნებიან მიცემულნიო.

— **მარტო ამისთვის?** თბილისის გუბერნიის შრომის კომისარმა აუწყა ქალაქის შრომის ბირჟას, რომ კონტროლი მრეწველობაზე იმ მიზნით რომ იქ არ ღებულობდნენ მოსამსახურეებს გარეშე შრომის ბირჟისა, შეიძლება დაწესდეს პროფესიონალურ კავშირებისა და საფაბრიკო კომიტეტის საშუალებით.

— **მომარაგების საქმე.** მუშათა მაგიდის კონტროლიორმა, რომელიც გაგზავნილი იყო იმის გამოსაკვლევათ, თუ რამდენათ წესიერათ ურიგდებათ მოსამსახურეებს პური, გამოარკვია, რომ მეექვსე ჯგუფში ჯგუფის წარმომადგენელი ითვისებდა ფუთზე ½ გირვანქა პურს. აგრეთვე გამოარკვია, რომ არამიანცის სავადმყოფოს მუშებისა და მოსამსახურეების სიაში აღმოჩნდა ფაქტიური პირები. ამ საავადმყოფოს წარმომადგენელი იღებდა 33 მოსამსახურის პურს, რომელნიც კარგა ხანია რაც სამსახურში არ ირიცხებიან. ამავე საავადმყოფოს წარმომადგენელი მუშებსა და მოსამსახურეებს არ აძლევდა 540 ულუფას.

## დეპეშები

(ს. დ. ს.)

### ამერიკის ბურჟუები ვრანგელს ეხმარებიან

„კომუნა" იუწყება: ადმირალმა მაკოლინმა ვრანგელის მთავრობის ფინანსთა მინისტრს ნ. ბერნაცკის განუცხადა, რომ შეერთებული შტატები მზათ არიან სამხრეთ რუსეთის მთავრობას დაეხმარონ ეკონომიურ ცხოვრების დადგენის საქმეშიო. ბერნაცკის წინადადება მიეცა წარმოადგინოს იმ საქონლის სია, რაც რუსეთს ჰირდება. (ს. გ.).

### ინგლისი და საფრანგეთი ვრანგელს უჭერენ მხარს

ბურცევი წერილში „დემოკრატიისათვის" სწერს: დიდმა სახელმწიფოებმა ხანგრძლივ ყოყმანის შემდეგ გარკვევით გადასწყვიტეს ვისთვის შეეწყოთ ხელი ლენინისა თუ ვრანგელისათვის. საფრანგეთი და ინგლისი უკვე ვრანგელს უჭერს მხარს მხოლოდ იმ პირობით, თუ ვრანგელი დემოკრატიულ იდეებს არ გადაუხვევს. რუს პატრიოტების მდგომარეობა ახლა გაცილებით მტკიცეა. (ს. გ.)

### წითელ არმიელი ქალები

კოპენჰაგენი, ადგილობრივი პრესის ცნობით მოსკოვში საბჭოთა ორგანოებს წითელ არმიელი ქალები იცავენ (ს. გ.).

### „არაჩი" ფრონტის შესახებ

ერევანი, „არაჩი" იუწყება: ოსმალეთის მთავარი ძალები შეჯგუფებულია უმთავრესად ყარსის ფრონტზე, სახელდობრ: ყაგიზმანის შარა-გზიდან დაწყებული ს. იასიგჩი კარაკაია-ხაზზეკის ხაზამდე. ეს სოფლები გარან ვარდანიდან 15 ვერსტის მანძილზე იმყოფება. ოსმალეთის ფრონტი გაჭიმულია 40 ვერსტზე. ამ ფრონტზე მოქმედებს ოსმალეთის 2 დივიზია 6,000 კაცამდე. მათ აქვთ ტყვიის მფრქვეველები და არტილერია. უკანასკნელ დრომდე ბრძოლები ხდებოდა ზიარეტის სიმაღლეებზე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ოსმალეთისათვის, ისე სომხეთისათვის. ყაგიზმანის ფრონტზე მოქმედებს უმთავრესად შემთხვევითი ძალები, რომელიც ქურთებისა და თათრებისაგან შესდგება. ეს რაზმები შიშის ზარსა სცემენ მცხოვრებთ და ალექსანდროპოლ-ერევნის რკ. გზის ხაზს ემუქრებიან. აქ სომხეთის ჯარი მათ დიდ წინააღმდეგობას უწევს. „არაჩის" ცნობით ამ ჟამად ფრონტზე სიწყნარეა: მტერი შემოტევაზე აღარ გადმოდის. მიღებულ ცნობებით თურქები დახმარებას ელიან ტრაპეზუნდიდან. საერთო მდგომარეობა სერიოზულია. თურქებს სურთ აიღონ ყარსი და ამით გააძლიერონ თავისი პოლიტიკური მდგომარეობა. (ს. კ.)

### რამდენათ მტკიცეა პოლონეთთან ზავი

მოსკოვი 27 ოქტ. „ეკონომიჩესკაია ჟიზნი" მეთაურში სწერს: რიგაში დადებული პრელიმინარული ზავის რატიფიკაცია უკვე მოხდა. პოლონეთის სეიმმა დაამტკიცა ზავი, ვინაიდან პოლონეთის სამშვიდობო დელეგაციაში შედიოდა ყველა პარტიის წარმომადგენლები ისევე, როგორც სეიმში. იმედი უნდა გვქონდეს მტკიცე ზავისა რასაკვირველია, არა მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის დამოკიდებულება ბურჟუაზიულ სახელმწიფოსთან განსაკუთრებულ პირობებშია. მთელი ქვეყნის სიძულვილი საბჭოთა რუსეთისადმი არ გვაძლევს გარანტიას, რომ რომელიმე ბურჟუაზიული სახელმწიფო მასთან ლოიალურ დამოკიდებულებაში დარჩეს. ყოველი ხელშეკრულება იმდენათ არის ქაღალდის ნახევი, რამდენათაც (გამოტოვებულია) ხელ შეკრულების შინაარსი ორივე მხრის დამაინტერესებელია. მისი სიმტკიცე საეჭვოა იმიტომ, რომ პოლონეთის ბურჟუაზია იარაღს აჟღარუნებს საფრანგეთის ბურჟუაზიის ტაშზე. საფრანგეთი არ ისვენებს, მისი მიზანია კაპიტალით დაახშოს რუსეთის რესპუბლიკა. პოლონეთი, რომელიც პეტლიურას ეხმარება სამხედრო საქმეში, ახლა აცხადებს, რომ ზავის პირობები არ ეხება პეტლიურასო და ჩვენ მასთან არავითარი კავშირი არა გვაქვსო, გენერალი ვრანგელი დამარცხების ხანაში იმყოფება და მის დასახსნელათ იქნება დასავლეთის ახალი ავანტიურა.

საქონლის უქონლობა აიძულებს პოლონეთს, რომ მან უცხოეთში გაიტანოს კარტოფილი ნახშირზე გადასაცვლელად. პოლონეთში ლითონის წარმოება შეჩერებულია. საფეიქრო წარმოებაში ნედლი მასალა: ბამბა, მატყლი და კანაფი მცირეა. ტყავეულობის ქარხნები სუსტად მუშაობს ტყავის უქონლობის გამო პოლონეთის მრეწველობის აღსადგენათ საჭიროა ნედლი მასალა. ამიტომაც პოლონეთის საზოგადოების ფართო წრები რუსეთთან ზავს ეძებენ. მათი ეს აზრით, ეს ზავი ხელს შეუწყობს პოლონეთის მრეწველობის აყვავებას. ჩვენთან შეკრულ ზავის დროებითი მხარეები პოლონეთს უარს ათქმევინებს ახალ ავანტიურებზე და ზავის პირობებს განამტკიცებიებს.

## მუშათა წერილები.

### ბოროტმოქმედება თბილისის აფთიაქებში.

წამლების საკითხმა მეტათ მწვავე ხასიათი მიიღო.

რაშია საქმე, რატომ შეიქნა ამნაირი პირობები? რატომ არ იშოვება წამლები? ხშირათ შეხვდებით აფთიაქში ამნაირ სიტყვებს ავათმყოფების მხრიდან: მთელი თბილისის აფთიაქები დავიარეთ დი წამალი კი ვერ ვიშოვეთო.

და ასე ავათმყოფის პატრონმა უნდა შემოიაროს მთელი აფთიაქები და, თუ იშოვნა, რა თქმა უნდა, ძალიან აწეულ ფასებში. ფასს ვინლა სჩივის, ოღონდ გამწარებულმა ავათმყოფის პატრონმა

დროზე მააშველოს წამალი. ბევრი ისეთი წამალია, რომ საჩქაროდ უნდა მიაწოდონ ავათმყოფს; რომელსაც ექიმი უკანასკნელ წუთებში უწერს. მაგალითათ ქაფურის ზეთი კანის ქვეშ გასაკეთებელი და კიდევ სხვა წამლებ.ი მაგრამ უბედურობაც იმაშია, რომ ამნაირი წამლების შოვნა შეიძლება მხოლოთ ყველა აფთიაქების შემოვლის შემდეგ და ხშირათ მაშინაც ვერც შოულობენ. არის კიდევ ზოგიერთი მედიკამენტები, რომელიც აუცილებელი საჭიროა მშობიარობის დროს და მთელი აფთიაქები რომ დაიაროს კაცმა ვერ იშოვინ. ყველა ეს წამლები ძალიან ბევრია თბილისში და შოვნაც შეიძლება, მაგრამ სპეკულიაციამ ისეთი ხასიათი მიიღო ჩვენს „სოციალისტურ“ ქვეყანაში, რომ აფთიაქებსაც გადაედო ეს სენი, და არ უშვებენ ისეთ წამლებს თუ ერთი ასი და ათასი არ მოიგეს.

ხშირათ მიიღებთ აფთიაქებში ასეთ პასუხს: ნიხრით წამალს ვერ მოგცემთ, ვინაიდგან ჩვენ მეტი გვიჯდება, ვიდრე ნიხრში ფასობს და ნიხრის ზევით ფას ვერ გადავახდევინებთ, პასუხის გებაში მიგვცემენო, და ბევრი ვაჭრობის შემდეგ, როცა ავადმყოფის პატრონი პატიოსან სიტყვას მისცემს, რომ არ გასცემს, მაშინ ლებულობს წამალს, მხოლოთ აწეულ ფასში.

ან რა ჰქნას, ავათმყოფს ხომ არ მოჰკლავს უწამლოთ და ძალა უნებურათ ხდება აფთიაქარის მსხვერპლი.

ბევრი კიდევ დაიწერება ამნაირი უწესობის და უსამართლობის შესახებ, მაგრამ ვინ მიაქცევს ყურადღებას?

დუშელი.

# პარტიული ცხოვრება.

### ქ. თელავში

14 ოქტომბერს შესდგა ს. კ. პ. თელავის სამაზრო ბიუროში მოწინავე ამხანაგების კრება. ამხანაგმა იოსებმა გააკეთა მოხსენება საერთაშორისო და რუსეთის ახლანდელ მდგომარების შესახებ რომელმაც დაახასიათა ახალი რევოლიუციონური ხანის დაწყება ევროპაში, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს საერთაშორისო კომუნისტური მე-3 ინტერნაციონალის შტაბი. და შემდეგ შეეხო პოლონეთთან ზავის შეკვრის მნიშვნელობას და გარკვევით აღნიშნა, რომ რუსეთის პროლეტარიატს მართლა მოუხდა ბევრის დათმობა, ეს მხოლოდ იმიტომ რომ უაზროთ იხოცებოდნენ პოლონეთის მუშები და გლეხები პოლონეთის შლიახტების ინტერესებისათვის. მართალია რუსეთმა ბევრში დაუთმო თეთრ პოლონეთს მაგრამ სამაგიეროთ მოიპოვა ათასეული სიცოცხლე პოლონეთის ძმების და აგრეთვე საშუალება მისცა პოლონეთის მუშებს და გლეხებს ზავის შემდეგ გაღონივრონ ჰოლონეთის კომუნისტური პარტია, რომელსაც ძლიერ ჩქარა მოუხდება წინამძღოლობა პოლონეთის კომუნისტურ რევოლიუციის. ყველა ასეთი გამარჯვების დაგვირგვინება მხოლოდ შესძლო რუსეთის კომუნისტურ სალ პოლიტიკამ და პარტიის რკინის დისციპლინამ. ამიტომაც ამხ. მომხსენებელმა განმარტა აგრეთვე ჩვენი ამხანაგების საყურადღებოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს კომუნისტურ დისციპლინას და მოუწოდა, რომ ყველა თელავის მაზრის პარტიული ამხანაგები გულწრფელად და უმწიკვლოთ ასრულებდენ პარტიულ მოვალეობას პარტიის წინაშე, ის აგრეთვე შეეხო საქართველოში შექმნილ მდგომარეობას, თუ მენშევიკებმა, როგორ შეასრულეს ის ხელშეკრულება დადებული საბჭოთა რუსეთთან, რომელიც საქართველოს კომუნისტურ პარტიას ლეგალურათ მუშაობის საშვალებას აძლევს ისე, როგორც სხვა პარტიებს საქართველოში. დღეს უკვე ნათელია ყველასთვის, რომ საქართველოს „სოციალისტ“ მენშევიკებს არ მოსწონთ, როდესაც ფარდას ხდიან ყოველ მათ გადადგმულ ბურჟუების სასარგებლო ნაბიჯებს, რომ ეს ნაბიჯები ღუპავს მთლად საქართველოს მუშებს დ გლეხებს. ნ ჟორდანიამ ნათლად დაახასიათა რომ მენშევიკების კატასტროფა მოახლოვდა დ უკვე სამარის წინ ვდგევართო“. რაც შეეხება იმას, რომ მთელი საქართველოს მშრომელი მუშები და გლეხები დგენან სამარის წინაშე იგი არ აინტერესებთ მათ. ოღონდ თვითონ თბილათ იყვენ, საუკეთესო სახლებში განცხრომით ცხოვრობდენ სწორეთ ისეთი მოსაზრებით მენშევიკების ბრძენ სოციალისტებმა აღმოფხვრეს საქართველოში კომუნისტური პარტია. გააძევეს ათასობით საუკეთესო თავდადებული გმირი ამხანაგები. დაბოლოს, აი, მოღვაწეობა „სოციალისტების“ საქართველოში თითქმის სამი წლის ვანმავლობაში.

მოხსენების შემდეგ იყო სამაზრო კომიტეტის სხდომა, სადაც გაირჩა სხვა და სხვა კითხვები. ყველაზე საინტერესო კითხვას შეიცავდა პარტიული მუშაობა მთელ მაზრაში, რის შესახებაც იქმნა რეზოლიუცია გამოტანილი: უნდა განაწილდენ ამხანაგები რაიონებში ორგანიზაციების დასაარსებლად, და სადაც არის დაშლილი, აღსადგენათ. ეს კითხვა იყო მთელი სოფლის გლეხების მიერ დასმული. ისინი მოითხოვდენ მუშაობის და ორგანიზაციების შეკვრას. კრებამ აირჩია ორი ამხანაგი მაზრაში გასაგზავნათ რომლებიც მეორე დღეს უკვე წავიდენ რაიონებში და სოფლებში. აგრეთვე დასმული იყო გაზეთის გავრცელების საკითხიც და პასუხისმგებელ კორესპონდენტის არჩევა. გაზეთის გავრცელება დაეკისრა ყველა იაჩეიკების წარმომადგენლებს და პარტიის წევრებს. იქნენ არჩეულნი პასუხისმგებელი კორესპონდენტები. კრებაზე იქნა გამოტანილი პროტესტი სასომხეთის გახრწნილ დაშნაკცუტუნების მთავრობის მიმართ, რომელიც ჯალათების როლს თამაშობს ჩვენი საუკეთესო ამხანაგების მიმართ.

კრება დაიშალა. გაათკეცებული ენერგიით აღსავსე ამხანაგები, შეუდგენ მჭიდროთ შეკავშირებას თავიანთ პარტიულ რკინის დისციპლინით კომუნიზმის გასაღრმავებლათ და ცხოვრებაში განსახორციელებლათ.

ი. ანაშვილი.

# სოფელი და მიწის მუშა

**როდის უნდა ამოვისუნთქოთ მშრომელმა გლეხებმა თავისუფლათ?**

ორი კვირა იქნება მას აქეთ, რაც მე და ორი ამხანაგი წავედით ტყეში შეშის მოსატანად, წინდაწინვე ბარათები გავამზადეთ, (ნებართვა შეშის მოსაჭრელად) მივედით, დავამზადეთ შეშა ახალ დაბის მახლობლად, დავტვირთეთ ურმები და გამოვემგზავრეთ სახლისკენ. გზაში შეგვხვდა ორი დარაჯი კიკნაძე და ცერცვაძე, დაგვიწყეს ყვირილი: „რა ნება გქონდათ, რომ მოგიჭრიათ შეშა და მიგაქვთო“. ჩვენ ვუთხარით: ბარათები გვაქვს-თქო. ამოვიღეთ და ვაჩვენეთ, მაგრამ მაინც თავისას არ იშლიდენ და წაგვართვეს ცულები. ამ დროს „ლესნიჩიც“ მოვიდა და უთხრა: „კაცო, თუ არ ატანთ შეშას ნებართვით, ცულები მაინც მიეცით უკანვეო“. მაგრამ ისინი მაინც ჟინობდენ. მოცვივდენ ახალ-დაბის სახერხი ქარხნის მუშები ბევრი, ეხვეწენ მიეციო, მაგრამ მაინც არ დასთანხმდენ, არ დაგვანებეს.

ბოლოს და ბოლოს, რის ვაი-ვაგლახით ცულები დაგვიბრუნეს, მაგრამ შეშა იქვე დაგვაყრევინეს.

ეხლა ვეკითხები ვისაც ჯერ არს: დიდ ხანს უნდა ვიყვეთ ასე? გვიზამთრდება, სიცივეები დგება, როდის-ღა უნდა მოვიტანოთ შეშა, თუ სულ ყოველთვის ასე წაგვართვეს? ვაი ჩვენ, საწყალ გაჭირვებულ გლეხებსა, თორემ მდიდარ გლეხობას კი ყველაფერი აქვს.

მაგრამ ვგონებ, რომა ეს დრო დიდ ხანს არ გასტანს.

სოფლელი გლეხი.

**შუხუთის თემი (გურია).** ვინც დაახლოვებული არ არის, იმას გაუკვირდება და შეიძლება არც დაიჯეროს, აქაური თემის გამგეობის საქმიანობა. სხვა მრავალთა შორის თემის საბჭომ ამა წლის მაისში თუ ივნისში გადასწყვიტა გზების გაფართოვება—გაკეთება, მაგრამ მას შემდეგ ეს გადაწყვეტილება ჩვენმა „მზრუნველებმა“ მხოლოთ ქაღალდზე დაწერით დააგვირგვინეს· ამ თემის შუა მიმდინარე პატარა მდინარემ სახელდობრ უკან ღელემ დასტოვა თავისი კალაპოტი და წალეკვას უპირებს რამოდენიმე მოსახლეებს; აგრეთვე დიდი ხანია დაწყებულს და მოუსრულებელს შუხუთის სასკოლო შენობასაც დიდ ზიანს აყენებს.

გზები საერთოთ დანგრეული და გაფუჭებულია. წინათ აქ საფაეტონო გზა იყო, ახლა კი ურმითაც გასაჭირია მგზავრობა. თუ ხშირი ავი დარები დადგა მაშინ „ნავი“ დარჩება საჭირო: კოოპერატივს, სახალხო სახლს, ბიბლიოთეკას, თემის მაღაზიას და თემის კანცელარიას შორის სასიარულოთ.

ხედავს რა ყველა ამას, თემის გამგეობა ყურებსაც არ იბერტყას და თუ ვინმემ გაბედა და შეეკითხა პასუხი მზათ აქვთ: დადგენილი გვაქვს გავაკეთოთ ცხრა საჟენი გზა, უკანღელისთვის ცემენტით უნდა გაკეთდეს კალაპოტიო და სხვა ასეთი დაპირებანი.

გარდა ამისა თემს აქვს თავისი სავაჭრო მაღაზია, რომლის წარმოება საკვირველ ნიადაგზეა დაყენებული. აქ პირად პატიოსნებაზე და ნდობაზეა დამოკიდებული ყოველივე მაღაზიის ანგარიშები. გამგეობამ ისიც კი არ იცის, თუ რომელი საქონელი როდის გადინიხრა და ამ საქონლის რამდენი ნაწილი გაიყიდა წინანდელ ფასებში და რამდენი მომატებულ ფასებში (საქონლის გადანიხრა კი ხშირათ ხდება გამგეობის გარეშე) ამას წინათ ხმები იყო, რომ თემის მაღაზიის რევიზია იქნება. შეიკრიბენ გამგეობა და სარევიზიო კომისია, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო კრება გადასდვეს შემდეგისათვის. ხალხში ძლიერ ცუდი ხმები დადის; გამგეობაც უკმაყოფილოა, მაგრამ ვიღაცის შიშით, თუ ხათრით ანგარიშის მოთხოვნას ვერ ბედავს.

გამუდმებული წვიმების მიზეზით მოსავალი ძლიერ დაზიანდა ყანებში წყალი დგას და ჭირნახულის აკრეფა შეუძლებელი ხდება. თუ ასე გასტანა ნამდვილი დამშევა მოგველის. სოფლათ დაძრწიან თავაშვებული სპეკულიანტები, და ეძებენ უფრო გაჭირვებულ გლეხებს, რომ რაც შეიძლება ნაკლებ ფასებში იყიდონ სიმინდი, რომ შემდეგში ისევ მათ ათკეცი ფასი გადაახდევინონ.

ოხანეთელი.

# პროვინციის ცხოვრება.

### ხიდისთავი (გურია).

7 ოქტომბერს, ხუთშაბათს, ადგილობრივ უმაღლეს დაწყებით სასწავლებლის შენობაში, საჯაროთ მოხსენება გააკეთა „ევროპის დელეგაციის“ შთაბეჭდილებაზე შინაგან საქმეთა მინისტრის მდივანმა ემ. ლომთათიძემ. მოხსენებას დაესწრო 30 კაცამდე, ისიც უმთავრესათ ვაჭრები იყვენ.

ამით, რასაკვირველია მომხსენებელი შეურაცყოფილი დარჩა, მაგრამ ის იძულებული იყო მაინც წაეკითხა.

სანამ მომხსენებლის სიტყვებს მოვიყვანდე, საჭიროთ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ბ-ნ ემ. ლომთათიძის მოხსენება ზემოდ აღნიშნულ თემას კი არ ეხებოდა, (ის სხვათა შორის მოიხსენია), არამედ სულ ერთიანათ კომუნისტების გინებისაკენ იყო მიმართული. ცხადია მკითხველთათვის, თუ როგორ შეგვამკობდა ბ-ნი მომხსენებელი. სავსებით მინდა მკითხველებს გავაცნო ყველა მის მიერ ხსენებული სიტყვები, მაგრამ, როგორც მომხსენებელმაც აღნიშნა, ვერ იყო მისი მოხსენება დალაგებული, მე ვიმედოვნებ, რომ ბ-ნ ემელიან ლომთათიძეს ყველა ჩვენი ამხანაგები და თანამოაზრეები იცნობენ და აქედან თნდა გამოიტანონ შესაფერი დასკვნა, თუ როგორი იქნებოდა მისი გინება ჩვენს წინააღმდეგ მომართული. მე მხოლოდ ვიტყვი, რომ მომხსენებელი დიდ იმედებს ამყარებს ევროპის დელეგაციაზე. მან სთქვა: „ჩავლენ, თუ არა ევროპაში, აუცილებლათ ევროპა ჩვენს დამოუკიდებლობას იცნობს, არამც თუ იცნობს, არამედ მათი კოოპერატივებიდან რამდენიმე საქონლით დატვირთულ გემს გამოგზავნიან, რომელიც, სულ ახლო ხანში საქართველოს მოადგებაო“.

ასე უკეთებენ გულს გაჭივრებულ ხალხს. ეს ახლო მომავალიც გაივლის და ვნახოთ, თუ რამდენი გემი მოადგება საქართველოს.

მომხსენებელი აგრეთვე შეეხო საფრანგეთსაც, მან სთქვა: „საფრანგეთი, ეს ანარქიული ქვეყანაა, იქ მუშები ბოლშევიზმს იარშიყებიანო“.

როგორც სჩანს ძალიან შეშინებია მომხსენებელს, მაგრამ გულს მაინც არ იტეხს და ამბობს: „იქ ანარქიააო“. სხვათა შორის მომხსენებელმა რუსეთის მიერ საქართველოს ცნობაზეც ილაპარაკა. მისი სიტყვების: „რუსეთმა უკვე იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, რაიც გამოიხატა, ორჯონიკიძის და მდივანის პასუხის გებაში მიცემაში, როდესაც მათ ომი განიზრახეს საქართველოს წინააღმდეგო“, უკანასკნელი ნაწილი ვეჭვობ, რომ მართალი იყოს, მხოლოდ ის კი აშკარაა, ჩვენ გვაქვს სასტიკი დისციპლინა. ვერც ერთი კომუნისტი ვინც უნდა იყოს ის ვერ გადადგამს ისეთ ნაბიჯს, რომელიც ეწინააღმდეგება პარტიის ინტერესებს, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკ პასუხს აგებს.

მომხსენებელი აგრეთვე შეეხო რუსეთის და აძერბეიჯანის მდგომარეობას. ის ამბობს: „რუსეთში არ არსებობს წარმოება, დანგრეულია ფაბრიკა-ქარხნები, გზები, გააქვთ აზერბეიჯანიდან ნავთი, ბრინჯი და სხვა“.

ნუ თუ მომხსენებელმა არ იცის, რომ რუსეთი ხუთი წელია იბრძვის? ნუ თუ მან არ იცის, რომ დღეს საბჭოთა რუსეთს რამდენიმე მილიონამდე ჯარი ყავს და ირგვლივ იბრძვის და ამარცხებს მტერს? ნუ თუ იმის მიხვდენა არ აქვს, რომ ხუთი წლის ომისთვის საჭირო ტყვია წამალი, სხვაგან ვერ დამზადდება თუ არა ქარხნებში? ნუ თუ მან არ იცის, რომ ტანსაცმელი, ფეხსაცმელი ყველა ეს რუსეთში მზადდება დღეს? თუ რკინის გზა არ არსებობს, როგორ ხდება ჯარების გადაჯგუფება? სურსათის გადაზიდვა? რაც შეეხება ბაქოდან ნავთის გატანას, ჩვენ მაგას არ ვარყოფთ, მაგრამ იცის, თუ არა მომხსენებელმა, რომ სამაგიეროთ ფართლეულობა შემოიტანეს? შეიძლება უკმაყოფილოა მომხსენებელი, მით რომ რუსეთიდან ჩამოტანილი საქონელი სპეკულიანტებს არ დაურიგდათ?

ეს ყველა კარგათ იცის ბ-მა მომხსენებელმა, მაგრამ რით უნდა დაატყუილოს ხალხი, თუ არა ასეთებით? მაგრამ ხიდისთავის გლეხობა, საკმაოთ დარწმუნებულია მათი სიყალბეში.

მომხსენებელს გაკეთებია გული და ამბობს: „საქართველოში კომუნისტები დღეს არც კი არსებობენ, თბილისში ყველა კლუბები ღიაა, მაგრამ ვინ შედის შიგ, ამიტომ არის, რომ აგერ ორი თვეა არავინ არ დაგვიჭირავსო“. ამასვე ამბობდენ შარშან ზაფხულშიაც მენშევიკები. გურია ჩვენიაო, მაგრამ გაიხსენონ, როგორი დამარცხება იგემეს მიტინგებზე გურიის უმთავრეს რაიონებში: ხიდისთავში, ერკეთში, ჯუმათში, ლანჩხუთში და სხვა. ლანჩხუთში რომ მიტინგი იყო, ისეთი გურიას არ ახსოვს, სადაც მენშევიკებსაც ყავდათ მოწვეული: აიოლო, ჟორჟოლიანი, შილაკაძე და სხვები. აბა შეეკითხონ თავის თავს,— როგორ კუდ ამოძუებული წავიდენ? რაც შეეხება იმას, რომ ორი თვეა არავინ არ დაგვიჭირავსო, აბა შეეკითხოს მომხსენებელი ჩოხატაურის მილიციის უფროსს,—დაიჭირა თუ არა მან 10 სექტემბერს გურიის კომიტეტის სხდომაზე ოთხი ჩვენი ამხანაგი, რომლებიც ოზურგეთის ციხეში ძველი ჩინოვნიკის ლომჯარიას კლანჭებში არიან? ყველა ეს ალბათ ეცოდინება ბ ნ მინისტრის მდივანს, მაგრამ რით უნდა გაიკეთონ გული, თუ არა ასეთი იმედებით?

—ლი.

### შეკითხვა მზარეულთა პროფ. კავშირის გამგეობას.

ვინაიდან მე ვიყავი მუშების მხრით არჩეული სარევიზიო კომისიაში, ვალდებული ვიყავი გამეწია კავშირისათვის რევიზია, რასაც უკვე შეუდექი. მაგრამ მიუხედავათ ამისა სამჯერ მივედი კავშირში და სამჯერ [illegible] შობილი სარევიზიოთ თავმჯდომარის მეოხებით. მან უხეში სიტყვით და გინებით დამატოვებია რევიზია, რის შემდეგაც შევიტანე განცხადება გამგეობის კრებაზე განსახილველად, თუ რა მიზეზი იყო ბ ნ თავმჯდომარის მხრიდან ასეთი თავგასულობა და მოვითხოვდი პასუხი მოეცათ ჩემთვის, თუ არა და პრესის საშვალებით მივმართავდი საზოგაროებას.

გავიდა ერთი კვირა, მაგრამ თვით გამგეობამაც არავითარი პასუხი არ მომცა; ამისათვის მოვითხოვ გამგეობის მხრით დაუყოვნებლივ პასუხს პრესის საშვალებით სამი დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებას ვიტოვებ გამგეობის და თავმჯდომარის საქციელი ვაცნობო ფართე მასსას პრესის საშვალებით.

სარევიზიო კომისსიის წევრი იმნაძე.

დრ. რედაქტორი: ლ. სუხიშვილი.

# განცხადებანი


გამომცემლობა
„წითელი ვარსკვლავი“
გამოსულია.

1. ვინ არიან კომუნისტები (ბოლშევიკები). ფ. 3 მ.
2. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. ინტერნაციონალი მომაკვდავი და ინტერნაციონალი ამომავალი. ფ. 5 მ.
3. მ. კასპიელი. ვინ სტყუის? ფ. 10 მ.
4. ნ. ლენინი. ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში. ფ. 5 მ.
5. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. ომი და სოციალიზმის კრიზისი. ფ. 20 მ.
6. მ. კასპიელი. ინტერნაციონალი და ომის საკითხი. ფ. 15 მ.

იბეჭდება:

7. პროგრამა რუს. კომ. პარტიისა.

დამზადებულია დასაბეჭდათ:

8. ბუხარინი და პრეობრაჟენსკი. კომუნიზმის ანბანი.
9. ბუხარინი. პროლეტ. დიქტატურა რუსეთში და მსოფლიო რევოლიუცია.
10. ზინოვიევი. პარტია და პროფესიონალური კავშირები.
11. მინინი. რელიგია და კომუნიზმი.
12. პეტროვიჩი. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
13. ნ. გექტორი. რით აიხსნება რუსეთში სოციალისტ. რევოლიუციის ადვილად გამარჯვება.
14. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნ. ცენტ. კომიტეტის მიმართვა კავშირისადმი 1850 წ.
15. კ. მარქსი. სამოქალაქო ომი საფრანგეთში 1870—71 წ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3, მეორე სართული, ტელ. 8—91.

ცენტრ. კომ. ბიურო ღიაა დილის 11—1 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბილისის საგუბერნიო კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქუჩ. № 3, მეორე სართული. ტელ. 8—91.

ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩ., № 185.

ბიურო ღიაა საღ. 5—7 ნახ. საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მეორე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ბიურო ღიაა დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მესამე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დილის 10—1 ნახ. საათამდე და საღამოს 5—7 ნახ. საათ.

ს. კ. პ. თბილისის მეოთხე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ), სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე.